საქართველოს

1966 წლის 10 საუკეთესო

ერთვნული ბიბლიოთეკა



ა. მეტრეველი

რ. რურუა

ნ. ალექსანდრია

ი. დიაჩკოვი



ო. ფხაკაძე

ნ. გაფრინდაშვილი



გ. სალარაძე



ა. კიკნაძე

ნ. ასათიანი



ს. მეტრეველი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 253 (3230) 31 1966 წ. დეკემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ორგანიზებულად ჩაბარებისთვის

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ფიზკულტურული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები გაიმართოს ახალი წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე.

ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები უნდა დამთავრდეს 1 მარტამდე. რაიონული კონფერენციები მოეწყობა მარტში.

სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა სპორტკავშირის რაიონულ საბჭოებს დაავალა დახმარება აღმოუჩინონ „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოებს კონფერენციების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

რეპეტიციები

მოსკოვი, 30 დეკემბერი (ტელეფონით). საბჭოთა ფრენბურთელი ქალები გულდაგულ ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 21 იანვარს აიღებს სტარტს იაპონიაში.

სწორედ ამ დიდი საფრენბურთო სპექტაკლის რეპეტიციებს წარმოადგენდა საბჭოთა ნაკრების 3 შეხვედრა პოლონეთის ეროვნულ გუნდთან. პირველმა მატჩმა მასპინძლებს საკმაოდ იოლი წარმატება მოუტანა — 3:0 (15:9, 15:5, 15:8), მაგრამ თამაში ძალიან უინტერესო იყო. თანაც იგრძნობოდა, რომ გახანლებული საბჭოთა ნაკრების წევრები ჯერ კიდევ კარგად არ არიან შეთამაშებული.

ოთხშაბათს მეტოქეთა ბრძოლა გაცილებით მწვავე იყო და მასპინძლებმა მხოლოდ ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ იზიმეს გამარჯვება — 3:2 (15:9, 15:12, 9:15, 6:15, 15:6).

გუშინ კი გამეორდა პირველი შეხვედრის ანგარიში 3:0 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

ᲮᲔᲓᲔᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ბონი, 29 დეკემბერი. სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე ახალ წელს, ალბათ, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ კლუბში ითამაშებს. ეს განაცხადა მიუნჰენელმა მრწვველმა, „ბაიერნის“ საფეხბურთო კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა ენდლერმა, რომელთანაც ამჟამად სტუმრადაა პელე. ენდლერმა თქვა, რომ პელე არ აპირებს „სანტოსის“ დატოვებას, მაგრამ იგი 1 წლით „ინთხოვრეს“ დასავლეთ გერმანიაში. ამის თაობაზე დადებულია სათანადო ხელშეკრულება.

ამ გარიგებას საფუძვლად უდევს პელეს საქმიანი გეგმები. საქმე ის არის, რომ „ფეხბურთის მეფე“ ბრაზილიაში ქარხნის აშენებას აპირებს და გფრ-ში მრეწველობის შესაბამისი დარგის გაცნობა სწადია. საამისოდ იგი ერთ წელიწადს დაჰყოფს თავის უახლოეს მეგობართან“ ენდლერთან.

უკანასკნელ საათს

◆ მოსკოვი, 30 დეკემბერი. დედაქალაქის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის უფროსს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ბესკოვი.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო ტრადიციული საახალწლო ანკეტა რესპუბლიკის ათი საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლინებლად.

საქართველოს № 1 პირველობად დასახელებულია უძლიერესი საბჭოთა ჩოგბურთელი, ბევრი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, თბილისელი დინამოელი ალექსანდრე მეტრეველი.

გარდა მეტრეველისა, საუკეთესოთა ათეულში შევიდნენ მოჭიდავე რომან რურუა, მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია, მძლეოსანი იური დიაჩკოვი, ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე, მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი, მოჭიდავეები გურამ საღარაძე და ანზორ კიკნაძე, მოფარიკავე ნუგზარ ასათიანი და ფეხბურთელი ალავა მეტრეველი.

ყველა სპორტსმენი, გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, 17 წლის ნანა ალექსანდრიასი, სხვადასხვა წელს უკვე შედიოდა უძლიერესთა ათეულში.

ანგარიშში გახსნა შტეინმა

დიდი მოჭადრაკეები, როგორც წესი, თავს არიდებენ პროგნოზებს, მით უმეტეს, თუ თავადაც არიან მოასპარეზეთა შორის. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ამ ჩემპიონატის წინ თითქმის არც ერთ გაზეთში არ გამოჩენილა მათი ინტერვიუ. მაგრამ სად დამალავ გულისნადებს? გუშინწინ, I ტურში ბევრმა გახსნა ხვაშიადი.

ამ ბოლო წლებში დიდ ყურადღებას იქცევს შტეინი, რომელიც ზედიზედ ორჯერ გახლდათ საბჭოთა კავშირის ქვეყნის ჩემპიონი. ლვოველი დიდოსტატის თამაში გვხიბლავს სიმსუბუქით, მოიერიშე სტილითა და გამარჯვებისადმი დიდი ლტოლვით. შემთხვევითი როდია, რომ რ. ფიშერმა სწორედ იგი გამოიწვია მატჩში. არაფერია მოულოდნელი, რომ შტეინს სურდეს ჩემპიონის ტასტის შენარჩუნება. ეს სურვილი პირველსავე შეხვედრაში გახდა ნათელი.

ლაზიერის გამბიტის მშვიდობიან სისტემაში კროგიუსმა იოლად გაათანაბრა პოზიცია, მსუბუქი ფიგურებიც გაცვალა. შტეინმა მე-17 სვლით თავად მოსპო დაძაბულობა ცენტრში და შექმნა შთაბეჭდილება: ბრძოლა ყაიმით უნდა დამთავრდეს. სინამდვილეში ლვოველმა მოჭადრაკემ მცირე უპირატესობა მოიპოვა, რაც მისი ფიგურების აქტიურ განლაგებაში გამოიხატებოდა. მალე კროგიუსის პოზიციაში ბზარი გაჩნდა. შტეინმა მეფესა და სუსტ პაიკზე კორდინირებული იერიში განახორციელა და პირველი გამარჯვება იზეიმა.

აი, პარტიაც:

შტეინი — კროგიუსი

1. c4 e6 2. ∅c3 d5 3. d4 ∅f6 4. cd ∅:d5 5. ∅f3 c5 6. e3 ∅c6 7. ♗c4 cd 8. ed ♗e7 9. 0—0 0—0 10. ♕e1 a6 11. a4 ∅f6 12. ♗g5 ♗d7 13. ♕e2 ♕c8 14. ♖ad1 ∅d5 15. ♗:d5 ♗:g5 16. ♗e4 ♗f6 17. d5 ed 18. ∅:d5 ♗e6 19. ∅f4 ♖b6 20. ∅:e6 fe 21. ♖d3 h6 22. ♖d6 ♕ce8 23. ♗c2 ♖b4 24. ♖d3 ♖d8 25. ♖h7+ ♔f7 26. ♖g6+ ♔fg8 27. ♕:d8 ∅:d8 28. ♖d1 ♖:b2 29. h4 ∅c6 30. ♖b1 ♖a3 31. ♕:b7 ♗e7 32. ♖:e6+ ♔fh8 33. ♖:c6, ♖c1 + 34. ♔fh2 ♖f4+ 35. ♔fh3 კროგიუსი დანებდა.

ამ დღეს სხვამ ვერავინ მოიგო. ბრონშტეინი აქტიურად უტევდა ახალგაზრდა მოჭადრაკეს სავოს, მაგრამ ხარკოველი ოსტატი ფხიზლობდა. მან თამაშის მესამე საათზე გუშელდმა და ნიმ ერთმანეთს გაუღიმეს და დაზავდნენ. ასევე განმეორდა დროშკევიჩ-ლეინის შეხვედრაში. მხოლოდ ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ შეთანხმდნენ ყაიმზე ტაიმანოვი და კორჩნოი.

სხვა შეხვედრები არ დამთავრებულა. გურგენიძეს მრისხანე მეტოქე ჰყავდა პოლუგაევსკის სახით. მან კარგად ცნობილ ლაზიერის გამბიტში უჩვეულო გაგრძელება აირჩია. დიდოსტატი ხანგრძლივად ჩაფიქრდა და თამაშის სწორი გზა მონახა. ბრძოლა ძალზე მიმზიდველად წარიმართა.

— პოლუგაევსკის პოზიცია სტრატეგიულად მოგებულია, — მითხრა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა ლ. აბრამოვმა. მაგრამ ვიდრე ამ უპირატესობას გამოიყენებდა, დიდოსტატს „დანაღმული“ ადგილები უნდა გაევლო.

პოლუგაევსკიმ იჩქარა ენდშპილში გადასვლით, თუმცა, სხვა გზა არ ჰქონდა: მატერიალური თანაფარდობა უნდა აღედგინა. გურგენიძემ საუკეთესოდ გამოიყენა ხელსაყრელი სიტუაცია და თავად მიიღო თვალსაჩინო უპირატესობა. ამ დროს პოლუგაევსკიმ ყაიმი შესთავაზა მას, მაგრამ უარი მიიღო. შემდგომ ქართველმა ოსტატმა ნაღრევად ითამაშა ცენტრალური პაიკით და პოლუგაევსკის ფიგურები კვლავ გამოეცხლდნენ. ცაიტნოტმა თავისი დაღი დასცა გურგენიძის დაცვით მანევრებს. მან პაიკი დაკარგა. პარტია გადაიდო.

დიდ განსაცდელში აღმოჩნდა სმისლოვი ვასიუკოვთან თამაშისას. მხოლოდ თავისი ნაქები შეუპოვრობით შეძლო მან ბრძოლის მიყვანა ტურის ბოლომდე. სმისლოვის პოზიცია არასახარბიელოა.

თ. გიორგაძე.

გუშინ...

II ტურში კორჩნოიმ მოუგო დოროშკევიჩს, ბრონშტეინმა — გუფელდს, ლეინმა პოლუგაევსკის, გიპსლისმა — სავონს. ყაიმით დამთავრდა სუეტინ — ტაიმანოვის შეხვედრა.

სხვა პარტიები გადაიდო. გურგენიძეს ხოლმოვთან ოდნავ უკეთესი პოზიცია აქვს. დღეს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება.

1967 წლის რესპუბლი
სპორტულ ღონისძიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭრობატიკა

1. სსრ კავშირის თასი (პირადი შეჯიბრება): ა) ბატუტი. 28-29 იანვარი, მინსკი; ბ) შერეული წყვილები. 24-25 ივნისი, ივანო-ფრანკოვსკი, გ) ხტომები. 26-27 აგვისტო, ოდესა; დ) ვაჟთა წყვილები. 16-17 სექტემბერი, კრასნოდარი; ე) ჯგუფური ვარჯიში. 21-22 ოქტომბერი, ლვოვი.
2. საკავშირო შეჯიბრება ახალგაზრდობის სპორტსკოლებს შორის. 2-5 თებერვალი, ვოლგოგრადი.
3. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა 1945-1948 წ. წ. დაბადებულთა შორის. 25-30 მარტი, თბილისი.
4. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. 30 მაისი-3 ივნისი, გორკი.
5. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (1949-1953 წ. წ.). 19-22 ივლისი, სვერდლოვსკი.
6. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. 2-5 ნოემბერი, ბათუმი.
7. სამაგჭრო შეხვედრა. 15-17 დეკემბერი, რუსთავი.

ალპინიზმი

1. კავკასიონზე ასვლა. 25 თებერვალი-15 მარტი, ყაზბეგი.
2. საქართველოს პირად-გუნდური ღია ჩემპიონატი. 25-28 აგვისტო, წაღვერი.
3. სასიმაღლო ექსპედიცია. 15 ივნისი-20 აგვისტო, პამირი.
4. საკონკურსო ასვლები. ივლისი, აგვისტო, კავკასიონი.
5. საერთაშორისო კომპლექსური ასვლა პოლონელ სპორტსმენებთან ერთად. ივლისი-აგვისტო, კავკასიონი.
6. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა კლდეზე ცოცვაში. 13-18 ოქტომბერი, იალტა.

გაძმინტონი

1. საქართველოს პირადი პირველობა. 13-18 სექტემბერი, ბათუმი.
2. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. 13-22 ოქტომბერი, ტულა.

კალათბურთი

1. საკავშირო შეჯიბრება ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის: I ჯგუფი (I-XII ადგილებზე), I ტური (ვაჟები და ქალები) — 1-9 თებერვალი, კაუნასი, სვერდლოვსკი; II ტური (ვაჟები და ქალები) — 22 თებერვალი-2 მარტი, კიევი, ლენინგრადი.
2. რაიონების ნაკრები გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება. 4-9 მარტი, სამტრედია.
3. საკავშირო შეჯიბრება ჭაბუკთა და გოგონათა შორის (1951-1952 წ. წ.). ზონალური: 23-29 მარტი, კიშინიოვი, კლაიპედა, აშხაბადი; ფინალი: აპრილი, კაუნასი.
4. საკავშირო შეჯიბრება ჭაბუკთა და გოგონათა შორის (1949-1950 წ. წ.). ზონალური: 23-30 მარტი, დაუგავპილისი, ყარაგანდა, ლუგანსკი, ნალჩიკი; ფინალი: აპრილი, დონეცკი.
5. უნგრეთისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 19-23 აპრილი, უნგრეთი.
6. პოლონეთისა და საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 10-14 მაისი, პოლონეთი.
7. საქართველოს პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). I ჯგუფი. 28 მაისი.-5 ივნისი, თბილისი; II ჯგუფი. 24-30 მარტი, გორი.
8. საქართველოს პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-14 ივნისი, თბილისი.
9. ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 1-5 ივლისი, თბილისი.
10. სსრ კავშირის პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 10-29 ივლისი, ლენინგრადი.
11. სსრ კავშირის პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 25 ივლისი-4 აგვისტო, მოსკოვი.
12. გდრ-ისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 23-30 სექტემბერი, თბილისი.
13. იუგოსლავიისა და საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 7-16 ოქტომბერი, იუგოსლავია.
14. საერთაშორისო ტურნირი. იტალიის, გდრ-ის, თურქეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით. აგვისტო-სექტემბერი, თბილისი.

კრივი

1. ლენინგრადისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 28-30 იანვარი, ლენინგრადი.
2. ავსტრიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. თებერვალი, ავსტრია.
3. ხომეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 22-24 მარტი, თბილისი.
4. რესპუბლიკური შეჯიბრება ახალგაზრდობის სპორტსკოლებს შორის (1947-1950 წ. წ.). 7-9 აპრილი, სოხუმი.
5. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 3-7 ივნისი, ბათუმი.
6. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-13 ივნისი, თბილისი.
7. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 14-22 ივლისი, ლენინგრადი).
8. საქართველოსა და ლატვიის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 1-3 ივლისი, თბილისი.
9. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 28 ივლისი-4 აგვისტო, მოსკოვი.
10. სსრ კავშირის ახალგაზრდული პირად-გუნდური პირველობა (1947-48 წ. წ.).
11. საერთაშორისო ტურნირი. სექტემბერი, ერევანი.

თავისუფალი ჭიდაობა

1. გდრ-ისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 13-19 იანვარი, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი.
2. თურქეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. იანვარი, თბილისი.
3. საკავშირო შეჯიბრება ახალგაზრდობის სპორტსკოლებს შორის. ზონალური: 24-29 იანვარი, ბუბარა, დონეცკი, კიროვაკანი, ლენინგრადი, პერმი; ფინალი: 23-28 აგვისტო, მახაჩყალა.
4. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. 3-7 თებერვალი, კრასნოდარი.
5. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. 22-26 თებერვალი, თბილისი.
6. საქართველოს ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.) პირადი შეჯიბრება. 23-27 მარტი, თბილისი.
7. სსრ კავშირის ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.). პირადი პირველობა. 14-17 აპრილი, ბაქო.
8. ევროპის პირველობა. მაისი, თურქეთი.
9. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით): I ჯგუფი — 31 მაისი-3 ივნისი, თბილისი; II ჯგუფი — 23-26 მარტი, თბილისი.
10. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-13 ივნისი, თბილისი.
11. რსფსრ-ს და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა: ა) მოზრდილები. 1-3 ივლისი, გორი; ბ) მოსწავლეები. 31 მაისი-3 ივნისი, თბილისი.
12. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 13-17 ივლისი, ლენინგრადი.
13. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 29 ივლისი-2 აგვისტო, მოსკოვი.
14. ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა (1946-1948 წ. წ.). 18-21 აგვისტო, თელავი.
15. მონღოლეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. აგვისტო, მონღოლეთი.
16. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების ტურნირი. 15-18 სექტემბერი, წახკაძორი.
17. ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. სექტემბერი, ბულგარეთი.
18. ახალგაზრდობის საკავშირო პირადი პირველობა (1946-48 წ. წ.). 4-8 ოქტომბერი, ორჯონიკიძე.
19. საქართველოს პირადი პირველობა. 14-17 ოქტომბერი, თბილისი.
20. მსოფლიო პირველობა. ნოემბერი, დელი.

კლასიკური ჭიდაობა

1. ახალგაზრდობის სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება (1946-1948 წ. წ.). ზონალური: 24-29 იანვარი, ფრუნზე, ნოვოჩერკასკი, ასტრახანი, ქუთაისი, გომელი; ფინალი: 23-28 აგვისტო, თბილისი.
2. ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 5-13 თებერვალი, თბილისი, ქუთაისი.
3. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. 17-21 თებერვალი, ჩერნოვიცი.
4. საერთაშორისო ტურნირი ი. პოდუბნის სახელობის პრიზზე. 17-19 მარტი, მოსკოვი.
5. ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.) რესპუბლიკური შეჯიბრება. 29-30 მარტი, თბილისი.
6. ბელგრადისა და თბილისის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 1-12 აპრილი, გორი, ბათუმი, თბილისი, ფოთი.
7. ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.) საკავშირო შეჯიბრება. 21-24 აპრილი, ზაპოროჟიე.
8. ევროპის ჩემპიონატი. 18-21 მაისი, მინსკი.
9. ესტონეთისა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა.
10. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). I ჯგუფი — 4-7 ივნისი, თბილისი; II ჯგუფი — 29-30 მარტი, თბილისი.
11. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-13

...ურ ...ათა კალენდარი

...ურ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. ...ილი, მინსკი.
...ართველოს პირად-გუნდური პირველობა. ...ტომბერი, რუსთავი.
...ურ კავშირის თასი (პირადი შეჯიბრება). ...ომბერი, კიევი.
...ბაიჯანისა და საქართველოს ნაკრები ... სამატჩო შეხვედრა. 7-10 დეკემბერი, ...ი.

...აკადემიური ნიჩბოსნობა

...ეთა სპარტაკიადის პროგრამით). 10-13 ივნისი, სიონი.
...ბაიჯანისა და მოლდაველთის რესპუბლი... ნაკრები გუნდების ზონალური შეჯიბრება. ...ივნისი, ტირასპოლი.
...სკოვის ღია რეგატა. 7-9 ივლისი, მოსკოვი.
...ურ კავშირის პირველობა (საკავშირო სპარ... პროგრამით). 20-23 ივლისი, მოსკოვი.
...ეთების, ქალაქებისა და ავტონომიური ...ლიკების ქალთა ნაკრები გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება. 8-10 აგვისტო, სიონი.
...ესპუბლიკების ქალთა ნაკრები გუნდების ...ური პირველობა. 31 აგვისტო-3 სექტემბერი, ...

საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე

...ესპუბლიკური შეჯიბრება საერთო-ფიზიკურ ...ობაში: ა) უძლიერეს სპორტსმენთა შორის. ...ბ) მოსწავლეთა შორის. 8-10 თებერვალი, ...ილი, თბილისი.
...უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნ... სამატჩო შეხვედრა: ა) მოზრდილთა შორის; ...ბ) მოსწავლეთა შორის. 28-30 აპრილი, ...
...სრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, საქართვე... მოლდაველთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ...გუნდების ზონალური ტურნირი. 27-28 ...ისი, მინსკი.
...საქართველოს პირველობა (რესპუბლიკური ...ეთა სპარტაკიადის პროგრამით) 1-4 ივნისი, სიონი.
...საქართველოს პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 3-5 ივნისი, სიონი.
...ბელორუსიის, მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 25-26 ...ისი, მოსკოვი.
...მოლდაველთისა და საქართველოს მოსწავლეთა ...ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 1-2 ივნისი, ლენინგრადი.
...სრ კავშირის პირველობა (საკავშირო სპარ...ადის პროგრამით). 8-11 ივლისი, მოსკოვი.
...სრ კავშირის პირველობა (მოსწავლეთა სა...ეთა სპარტაკიადის პროგრამით). 16-22 ივ... ლენინგრადი.

ცხენოსნობა

...საქართველოს პირადი პირველობა დაბრკოლე... გადალახვაში. 13-17 აპრილი, თბილისი.
...საქართველოს ჭაბუკთა (1950-1951 წ. წ.) ...გუნდური პირველობა. 6-10 მაისი, თბი...
...საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ...ესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). ...მაისი, თბილისი.
...სრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ...საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 22-30 ...მოსკოვი.
...სრ კავშირის ჭაბუკთა (1950-1951 წ. წ.) ...გუნდური პირველობა. 8-13 აგვისტო, კოს...
...სრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა პი... გუნდური პირველობა. 22-27 აგვისტო, პრა...
...საქართველოს სოფლის სპორტსმენთა პირად-...ი პირველობა. 4-9 ოქტომბერი, სოხუმი.
...რესპუბლიკური შეჯიბრება სეზონის გახსნის ...მარტი, თბილისი.

მძლეოსნობა

...სრ კავშირის ბავშვთა სპორტსკოლების პი... გუნდური პირველობა.—„ოლიმპიური იმედი“. ...ბ) შეჯიბრება საერთო-ფიზიკურ მომზადებაში. იან...ვალი, ადგილებზე; ბ) წინასწარი შე... სექტემბერი-ოქტომბერი, ადგილებ... ფინალი. 6-9 ნოემბერი, კისლოვოდსკი.
...საქართველოს ახალგაზრდული (1947-1948 ...პირად-გუნდური პირველობა 14-17 იანვა... თბილისი.
...ეთის რესპუბლიკური პირველობა. 7-10 ...ალი, ბათუმი.
...სრ კავშირის ახალგაზრდული (1947-1948 ...პირად-გუნდური პირველობა 10-12 თე... ლენინგრადი.
...ეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნა-კრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 16-17 მარტი, რიგა ან თბილისი.
6. სსრ კავშირის რესპუბლიკებს: ნაკრები გუნდების პირად-გუნდური შეჯიბრება. 4-5 მარტი, ლენინგრადი.
7. სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა (1949-1952 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 24-26 მარტი, ლენინგრადი.
8. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 25-28 მარტი, ქუთაისი.
9. რესპუბლიკური კროსი გაზეთ „პრავდას“ პრიზზე. 1-2 აპრილი, გორი.
10. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 16-19 აპრილი, ლესელიძე.
11. ამიერკავკასიის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა ესტაფეტებში. 16 აპრილი.
12. აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების გუნდების სამატჩო შეხვედრა. 20-21 მაისი.
13. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა გაზეთ „პრავდას“ პრიზზე: ა) რესპუბლიკების ნაკრები გუნდები. 4-5 მაისი, მოსკოვი; ბ) ქალაქების ნაკრები გუნდები; გ) სოფლის სპორტსმენთა ნაკრები გუნდები.
14. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 19-21 მაისი, ბაქო.
15. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით): I ჯგუფი —3-7 ივნისი, თბილისი; II ჯგუფი — 26-29 მარტი, თბილისი.
16. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-14 ივნისი, თბილისი.
17. ლატვიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 4-5 ივლისი, რიგა.
18. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 17-22 ივლისი, ლენინგრადი.
19. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით) 24-30 ივლისი, მოსკოვი.
20. სსრ კავშირის ახალგაზრდული (1947-1948 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 18-20 აგვისტო, ბაქო.
21. სტუდენტთა მსოფლიო თამაშები (უნივერსიადა). 30 აგვისტო-4 სექტემბერი, ტოკიო.
22. საკავშირო მასობრივი პროფკავშირულ-კოოპკავშირული კროსი. წინასწარი შეჯიბრებები — აგვისტო-სექტემბერი, ადგილებზე; ფინალი — 22 ოქტომბერი.
23. საერთაშორისო და საკავშირო პირადი კროსი გაზეთ „პრავდას“ პრიზზე. 23-24 სექტემბერი, ოდესა.

ლელო

1. საქართველოს პირველობა. 28 ოქტომბერი-3 ნოემბერი, დიდი ჯიხაიში.

სათხილამურო სპორტი

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. 8-12 თებერვალი, ბაკურიანი.
2. ბულგარეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 26-27 მარტი, ბულგარეთი.
3. კიროვის სახელობის პრიზის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. 7-10 აპრილი, კიროვი.

აფროსნობა

1. საქართველოს პირადი ღია პირველობა. 19 თებერვალი-5 მარტი, სოხუმი.
2. საქართველოს პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 5-14 აპრილი, სოხუმი.
3. შავი ზღვის XVIII რეგატა. 5-14 მაისი, სევასტოპოლი.
4. ბალტიის ზღვის XIX რეგატა. 2-11 ივნისი, ტალინი.
5. სსრ კავშირის პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 21-31 ივლისი, ლენინგრადი.

ცურვა

1. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე — „მხიარული დელფინი“: I ეტაპი — 2-29 იანვარი, ადგილებზე; II ეტაპი — 15-28 თებერვალი, ადგილებზე; III ეტაპი — 3-17 მაისი, ადგილებზე, IV ეტაპი — 1-25 ნოემბერი, ადგილებზე.
2. რესპუბლიკური შეჯიბრება. 1-5 თებერვალი, თბილისი.
3. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა რესპუბლიკური შეჯიბრება. 15-28 თებერვალი, საკავშირო — 10-15 მარტი.
4. რესპუბლიკური და საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ბავშვთა სპორტსკოლების მოსწავლეთა შორის. 23-28 მარტი.
5. ბელორუსიისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 22-27 მარტი, მინსკი.
6. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე: I ეტაპი — 2-7 აპრილი, ლენინგრადი; II ეტაპი — 11-16 აგვისტო, მინსკი.
7. უზბეკეთის, ყაზახეთის, ესტონეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 10-25 აპრილი, ტაშკენტი, ალმა-ათა, ტალინი.
8. ესტონეთის, ბელორუსიის, უზბეკეთის, უკრაინისა და საქართველოს სპორტსმენთა შეჯიბრება. 13-18 აპრილი, თბილისი.
9. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 3-7 ივნისი, თბილისი.
10. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 8-14 ივნისი, თბილისი.
11. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 13-21 ივლისი, ლენინგრადი.
12. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 27 ივლისი-5 აგვისტო, მოსკოვი.
13. რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტკავშირის პრიზზე. 16-21 სექტემბერი, სოხუმი.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტი

1. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. 19-22 აგვისტო, მოსკოვი.
2. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. 14-17 სექტემბერი. თბილისი.
3. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 10-13 ოქტომბერი, თბილისი.

წყალში ხტომა

1. საქართველოს პირადი პირველობა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. 10-12 იანვარი, თბილისი.
2. სსრ კავშირის პირადი პირველობა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. 10-12 თებერვალი, რიგა.
3. ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 18-21 მარტი, ლენინგრადი.
4. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა საკავშირო ჩემპიონატები. 1-10 აპრილი, კალუნდრიან.
5. სსრ კავშირის პირად-გუნდური შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. 20-25 აპრილი, თბილისი.
6. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 3-7 ივნისი, თბილისი.
7. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-13 ივნისი, თბილისი.
8. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 16-21 ივლისი, ლენინგრადი.
9. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 29 ივლისი-4 აგვისტო, მოსკოვი.
10. სსრ კავშირის ბავშვთა სპორტსკოლების პირად-გუნდური პირველობა: ზონალური — 11-16 აგვისტო, ადგილებზე; ფინალი — 24-28 აგვისტო, ვილნიუსი.
11. საქართველოს თასი. 2-4 ოქტომბერი, თბილისი.
12. სსრ კავშირის თასი (პირად-გუნდური შეჯიბრება). 20-24 ოქტომბერი, ტაშკენტი.

რეგბი

1. საქართველოს პირველობა. 30 ოქტომბერი-4 ნოემბერი, თბილისი.

ხელბურთი

1. საქართველოს პირველობა. 1-8 მარტი, ჭიათურა.
2. საკავშირო შეჯიბრება „ა“ კლასის ოსტატთა გუნდების მოზარდთა (1951-1952 წ. წ.) კოლექტივებს შორის: I-XII ადგილები: I ქვეჯგუფი — ზაპოროჟიე, II ქვეჯგუფი — კაუნასი, III ქვეჯგუფი — გომელი, 26-29 მარტი; ფინალი — 12-16 ივნისი, ვორონეჟი, XIII-XXIV ადგილები — I, II და III ქვეჯგუფები — 26-29 მარტი; ფინალი — 12-17 ივნისი.
3. სსრ კავშირის პირველობა: ვაჟები. I ჯგუფი, I ტურის I ქვეჯგუფი — 6-12 აპრილი, ტულა; II ქვეჯგუფი — 13-19 აპრილი, თბილისი; II ტურის I და II ქვეჯგუფები — 1-8 სექტემბერი, III ტური — II წრე — 12-18 ოქტომბერი. II ჯგუფი, I ტურის I ქვეჯგუფი — 20-26 აპრილი, როსტოვი; II ქვეჯგუფი — 20-26 აპრილი, ერევანი, II ტურის I და II ქვეჯგუფები — 8-15 სექტემბერი, ალმა-ათა; ქალები. I ჯგუფი, I ტურის I ქვეჯგუფი — 6-12 აპრილი, ტულა; II ქვეჯგუფი — 13-19 აპრილი, თბილისი; II ტურის I და II ქვეჯგუფები — 21-28 სექტემბერი, ტაშკენტი; III ტური II წრე — 12-18 ოქტომბერი; II ჯგუფი, I ტურის I ქვეჯგუფი — 20-26 აპრილი, როსტოვი; II ქვეჯგუფი, II ტურის I და II ქვეჯგუფები — 5-12 ოქტომბერი, კიშინიოვი.
4. კავკასიის თასი: შეჯიბრება ბაქოს, ერევნის, თბილისისა და როსტოვის გოგონათა და ქალთა გუნდებს შორის. მაისი.
5. ფინეთის, შვეციისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. მაისი, ფინეთი, შვეცია.
6. იუგოსლავიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. მაისი, იუგოსლავია.
7. ბაქოს, რიგის, ერევნისა და თბილისის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 24-30 მარტი, რიგა, ბაქო, ერევანი.
8. საქართველოს პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით): I ჯგუფი — 25 მაისი-5 ივნისი, თბილისი; II ჯგუფი — 24-30 მარტი, ფოთი.
9. სსრ კავშირის პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 10-22 ივლისი, ლენინგრადი.
10. საქართველოს რაიონების ნაკრები გუნდების პირველობა. 3-10 ოქტომბერი, ტყიბული, ფოთი.
11. რუმინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. სექტემბერი, თბილისი.
12. საერთაშორისო ტურნირი იუგოსლავიის, პოლონეთის, გდრ-ისა და საქართველოს გუნდების მონაწილეობით. ოქტომბერი, თბილისი.

თანამედროვე ხუთჭიდი

1. საქართველოს უძლიერესთა პირველობა. ბრება. 6-11 მარტი, თბილისი.
2. სპორტსკოლების საკავშირო პირად-გუნდური პირველობა: ზონალური — 22-27 მარტი, ერევანი, კიევი, ნალჩიკი, ტალინი, ფრუნზე; ფინალი — 9-14 აგვისტო, რიგა.
3. საერთაშორისო ტურნირი. აპრილი, ერევანი.
4. ახალგაზრდული და ჭაბუკთა (1946-1951 წ. წ.) რესპუბლიკური. პირად-გუნდური პირველობა. 20-25 მაისი, თბილისი.
5. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 6-11 ივნისი, თბილისი.
6. ახალგაზრდული და ჭაბუკთა (1946-1951 წ. წ.) საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. 10-15 ივნისი, მოსკოვი.
7. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 22-27 ივლისი, მოსკოვი.

ტყვიის სროლა

1. მოსკოვისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 6-10 იანვარი, მოსკოვი.
2. საკავშირო დაუწერებელი შეჯიბრება ჟურნალ „ვოენნოე ზნანიეს“ პრიზზე. თებერვალი, ადგილებზე.
3. რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. 22-28 თებერვალი, თბილისი.
4. უკრაინისა და საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 2-6 მარტი, თბილისი.
5. უკრაინისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 26-31 მარტი, კიევი.
6. აზერბაიჯანისა და საქართველოს ვაჟთა გუნდების სამატჩო შეხვედრა. 10-15 მარტი, ბაქო.
7. ლატვიის, უზბეკეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. აპრილი, რიგა.
8. ლატვიისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 24-30 აპრილი, რიგა.
9. საკავშირო ახალგაზრდული (1945-1948 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა: ა) შაშხანით სროლა. 8-15 აპრილი, ერევანი; ბ) პისტოლეტით სროლა. 16-22 აპრილი, ერევანი.
10. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 1-5 ივნისი, თბილისი.
11. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 31 მაისი-4 ივნისი, თბილისი.
12. უკრაინისა და საქართველოს მოსწავლეთა და მოზრდილთა გუნდების სამატჩო შეხვედრები. ივლისი, კიევი.
13. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 16-21 ივლისი, ლენინგრადი.
14. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 25 ივლისი-4 აგვისტო, მოსკოვი.
15. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების ტურნირი. 3-8 ოქტომბერი, პრუჟანსკი.
16. საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება ჟურნალ „ვოენნოე ზნანიეს“ პრიზზე. I ტური (1968 წლისთვის) — ნოემბერი-დეკემბერი, ადგილებზე.

სასტენდო სროლა

1. ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოსკოვის, რსფსრ-ს, ლატვიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ტურნირი. 27-31 იანვარი, თბილისი.
2. უზბეკეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 17-20 თებერვალი, ტაშკენტი.
3. ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 24-27 მარტი, ალმა-ათა.
4. საქართველოს თასი. 1-4 აპრილი, სოხუმი.
5. მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 11-15 აპრილი, მოსკოვი.
6. ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 11-14 მაისი, ლენინგრადი.
7. სსრ კავშირის თასი. 17-21 მაისი, ლენინგრადი.
8. ახალგაზრდული და ჭაბუკთა (1944-1952 წ. წ.) რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა. 27-29 მაისი, ბათუმი.
9. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-13 ივნისი, თბილისი.
10. სსრ კავშირის ახალგაზრდული (1944-1948 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 14-18 ივნისი, კიევი.
11. უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 19-22 ივნისი, კიევი.
12. სსრ კავშირის ჭაბუკთა (1949-1952 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 5-9 ივლისი, ვორონეჟი.
13. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 29 ივლისი-1 აგვისტო, მოსკოვი.
14. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების ტურნირი. 11-15 ოქტომბერი, კიევი.

მშვილდოსნობა

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. 26-30 ივნისი, ქუთაისი.
2. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. 16-20 აგვისტო, ნოვაია კაპოვკა.

ჩოგბურთი

1. სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა (1949-1953 წ. წ.) გუნდური შეჯიბრება: ზონალური — ბაქო, კალინინგრადი, კიევი, ლენინგრადი, მოსკოვი, ხვიროროდონეცკი, სოჩი, 4-8 იანვარი, ალმა-ათა — 4-10 იანვარი; ფინალი — გუნდური შეჯიბრე-

(დასასრული მე-4 გვ.)

1967 წლის რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

(დასასრული)

ბისა — 21-26 მარტი, სოჭი; პირადი შეჯიბრებისა — 27 მარტი-2 აპრილი, სოჭი.

2. სოჭისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 28-30 იანვარი, სოჭი.

3. საკავშირო შეჯიბრება: გუნდური — 6-9 თებერვალი, ტალინი; პირადი — 10-19 თებერვალი, ტალინი.

4. მოსკოვისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 4-8 მარტი, მოსკოვი; 8-11 აპრილი, თბილისი.

5. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა პირადი შეჯიბრება. 8-16 აპრილი, ალმა-ათა.

6. რსფსრ-სა და საქართველოს გუნდების სამატჩო შეხვედრა. 25-30 აპრილი, სოხუმი; 9-14 მაისი, რსფსრ.

7. სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი საქართველოს სპორტკავშირის პრიზზე. 16-24 მაისი, თბილისი.

8. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 28 მაისი-5 ივნისი, თბილისი.

9. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 4-12 ივნისი, თბილისი.

10. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით): გუნდური — 4-15 ივლისი, ლენინგრადი, პირადი — 30 ივლისი-5 აგვისტო, მოსკოვი.

11. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 17 ივლისი- 5 აგვისტო, მოსკოვი.

12. საქართველოს ახალგაზრდული (1946-1948 წ. წ.) პირადი პირველობა. 20-26 სექტემბერი, ბათუმი.

13. ინდოეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. ოქტომბერი-ნოემბერი, ინდოეთი.

მაგიდის ჩოგბურთი

1. სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა (1949-1953 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა: ზონალური — ბაქო, ვორონეჟი, პიარნუ, 4-7 იანვარი, ფრუნზე, 4-8 იანვარი; ფინალი — 23-30 მარტი, რიგა.

2. სსრ კავშირის პირადი პირველობა: ზონალური — დუშანბე, ივანო-ფრანკოვსკი, პანევეჟისი, თბილისი, 25-30 იანვარი, ფინალი — 15-19 მარტი, ერევანი.

3. ესტონეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 24-28 თებერვალი, ტალინი.

4. სსრ კავშირის ახალგაზრდული (1945- 1948 წ. წ.) პირადი პირველობა. 26-30 მარტი, რიგა.

5. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). I ჯგუფი — 28 მაისი-2 ივნისი, თბილისი; II ჯგუფი — 24-30 მარტი, რუსთავი.

6. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 10-22 ივლისი, ლენინგრადი.

7. ბავშვთა სპორტსკოლების საკავშირო გუნდური შეჯიბრება. 15-20 აგვისტო, უჟგოროდი.

8. გვინეისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. ივლისი-აგვისტო, თბილისი.

9. სსრ კავშირის გუნდური პირველობა: I ჯგუფი — I-XII ადგილები — 2-8 ოქტომბერი, ჯოლგოგრადი; II ჯგუფი — XIII-XXIV ადგილები — 4-8 ოქტომბერი, ოდესა; III ჯგუფი — XXV-XXXII ადგილები — 4-8 ოქტომბერი, ტულა.

10. საქართველოს პირადი პირველობა. 24-30 ოქტომბერი, თბილისი.

ძალოსნობა

1. რესპუბლიკური პირველობა გ. ჩიკვაიძის ხსოვნის პრიზზე. 3-5 თებერვალი, თელავი.

2. სსრ კავშირის ახალგაზრდული (1947-1950 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 8-12 თებერვალი, იჟევსკი.

3. ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. აპრილი, ჩეხოსლოვაკია.

4. ირანისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. მარტი-აპრილი, თბილისი.

5. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 10-14 ივნისი, თბილისი.

6. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 27 ივლისი-5 აგვისტო, მოსკოვი.

7. საქართველოს ახალგაზრდული (1947-1950 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 22-24 სექტემბერი, სოხუმი.

8. სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა პირად-გუნდური პირველობა. 11-15 ნოემბერი, კრასნოდარის მხარე.

9. სსრ კავშირის თასი: ა) ახალგაზრდებში (1946-1949 წ. წ.). 6-10 დეკემბერი, ტალინი; ბ) ნაკრებ გუნდებს შორის. 20-24 დეკემბერი, ლენინგრადი ან წახკაძორი.

10. სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და ახალციხის ნაკრები გუნდების ტურნირი. 15-17 დეკემბერი, ბათუმი.

11. ცხინვალის, ჭიათურის, თელავის, ზესტაფონის, მახარაძისა და ზუგდიდის ნაკრები გუნდების ტურნირი. 18-20 დეკემბერი, ზესტაფონი.

ფარიკაობა

1. მოსწავლეთა სამატჩო შეხვედრები. 7-11 იანვარი და 20-23 მარტი.

2. ბავშვთა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება — „ოლიმპიური იმედი". I ეტაპი — შეჯიბრება საერთო-ფიზიკურ მომზადებაში. იანვარი, ადგილებზე; II ეტაპი — თებერვალი-მარტი, ადგილებზე; ფინალი (1951-1954 წ. წ.)— 24-31 მარტი, სარატოვი.

3. სსრ კავშირის ახალგაზრდობის (1947 წელს და შემდეგ დაბადებულნი) პირად-გუნდური პირველობა. 2-8 თებერვალი, გორკი.

4. უძლიერეს მოფარიკავეთა რესპუბლიკური ტურნირი. 27-31 მარტი.

5. გდრ-ისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 4-11 აპრილი, გდრ.

6. საკავშირო ტურნირი. 18-23 აპრილი, მინსკი.

7. უნგრეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 26 აპრილი-4 მაისი, უნგრეთი.

8. უკრაინის, ბელორუსიის, ლენინგრადისა და საქართველოს მოსწავლეთა და მოზრდილთა ნაკრები გუნდების მატჩი. 11-15 მაისი, თბილისი.

9. საქართველოს პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 5-9 ივნისი, თბილისი.

10. საქართველოს პირველობა (რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 6-13 ივნისი, თბილისი.

11. სსრ კავშირის პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 14-22 ივლისი, ლენინგრადი.

12. სსრ კავშირის პირველობა (საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 24 ივლისი-5 აგვისტო, მოსკოვი.

13. საქართველოს თასი. 18-23 სექტემბერი, თბილისი.

14. სსრ კავშირის თასი. 8-14 ოქტომბერი, ერევანი.

15. რესპუბლიკური შეჯიბრება (1948 წელს და შემდეგ დაბადებულნი). 24-29 ნოემბერი, თბილისი.

16. საკავშირო შეჯიბრება (1948 წელს და შემდეგ დაბადებულნი). 20-26 დეკემბერი, ლუგანსკი.

ციგურებით ფიგურული სრიალი

1. საქართველოს პირადი პირველობა. 14-15 იანვარი, თბილისი.

2. რესპუბლიკური შეჯიბრება (პროფკავშირების ზამთრის სახეობათა სპარტაკიადის პროგრამით). 17-20 თებერვალი, თბილისი.

3. საკავშირო შეჯიბრება (სსრ კავშირის პროფსაბჭოს ზამთრის სახეობათა სპარტაკიადის პროგრამით). 2-8 მარტი, გორკი.

4. თბილისისა და ალმა-ათის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. თებერვალი-მარტი, ალმა-ათა.

5. სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა (1950-1954 წ. წ.) პირად-გუნდური პირველობა. 24-29 მარტი, ალმა-ათა.

ფეხბურთი

1. თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის მოსწავლეთა გუნდების შეჯიბრება. 25 მარტი-1 აპრილი, კალენდრით.

2. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება. წინასწარი თამაშები — თებერვალი-მარტი, რესპუბლიკების ქალაქებში; ფინალი — 2 მაისი, მოსკოვი.

3. სსრ კავშირის თასი. აპრილი-აგვისტო, კალენდრით.

4. სსრ კავშირის თასი ფიზკულტურული კოლექტივებისთვის: I ეტაპი — ფიზკულტურულ კოლექტივებში — აპრილი-ივნისი, კალენდრით; II ეტაპი — რაიონებსა და ქალაქებში — ივნისი-ივლისი; კალენდრით; III ეტაპი — ავტონომიურ ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში — ივლისი-აგვისტო, კალენდრით; IV ეტაპი — რესპუბლიკებში — 10 სექტემბრამდე, კალენდრით; V ეტაპი — ნახევარფინალები — სექტემბერი-ოქტომბერი, კალენდრით; VI ეტაპი — ფინალი (I-IV ადგილები). ოქტომბერი, კალენდრით.

5. მოსწავლეთა ზონალური რესპუბლიკური შეჯიბრება: II ჯგუფი — 3 აპრილი-12 მაისი, კალენდრით.

6. მოსკოვის, ლენინგრადის, ესტონეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების ტურნირი. 25 აპრილი-10 მაისი, მოსკოვი, ლენინგრადი, ტალინი.

7. სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის I და II ჯგუფებისთვის, აპრილი-ნოემბერი, კალენდრით.

8. სსრ კავშირის პირველობა „ბ" კლასში. აპრილი-ნოემბერი, კალენდრით.

9. საქართველოს პირველობა. I ჯგუფი — მარტი-ნოემბერი.

10. საქართველოს პირველობა. ზონალური — მაისი-აგვისტო, ფინალი — სექტემბერი-ოქტომბერი.

11. ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.) საკავშირო შეჯიბრება. I ეტაპი — წინასწარი თამაშები. აპრილი-ივლისი, კალენდრით; II ეტაპი — ნახევარფინალები. 12-25 ივლისი, კალენდრით; III ეტაპი — ფინალი. 6-17 სექტემბერი, კალენდრით.

12. საქართველოს ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.) პირველობა (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 28 მაისი-6 ივნისი, თბილისი.

13. სსრ კავშირის ჭაბუკთა (1949-1950 წ. წ.) პირველობა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით). 9-22 ივლისი, ლენინგრადი.

14. საკავშირო შეჯიბრება „სიჭაბუკის თასზე": ზონალური — აგვისტო-სექტემბერი, კალენდრით; ფინალი — 17-28 ოქტომბერი, კალენდრით.

15. საკავშირო შეჯიბრება „იმედის თასზე": ზონალური — ივლისი-სექტემბერი, კალენდრით; ფინალი — ოქტომბერი, კალენდრით.

16. საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთის პრიზზე". წინასწარი თამაშები რაიონებსა და ქალაქებში — აპრილი-ივლისი, კალენდრით; ფინალი — აგვისტო, კალენდრით.

17. საკავშირო შეჯიბრება ყრუ-მუნჯთა შორის: ზონალური — აგვისტო, კალენდრით; ფინალი — სექტემბერი, კალენდრით.

18. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება „ოქროს თავთავის პრიზზე". წინასწარი თამაშები — აპრილი-სექტემბერი, ზონალური — სექტემბერი; ფინალი — ოქტომბერი, კალენდრით.

19. პოლონეთისა და საქართველოს საკ... გუნდების შეხვედრები. პოლონეთი.

20. უნგრეთისა და საქართველოს საკლ... გუნდების შეხვედრები. საქართველო.

ჭადრაკი

1. სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა (... 1953 წ. წ.) პირადი პირველობა. 2-13 იან... ტულა.

2. ახალგაზრდობის სპორტსკოლების მო... ლეთა საკავშირო შეჯიბრება. 2-16 იანვარი... კოვი.

3. აზერბაიჯანისა და საქართველოს ... გუნდების სამატჩო შეხვედრა. 4-8 თებერ... თბილისი.

4. სსრ კავშირის სტუდენტთა პირადი ... ლობა. 26 იანვარი-16 თებერვალი, როსტოვი.

5. საქართველოს პირველობის ნახევარფინ... (ვაჟები) — 10-28 თებერვალი, ამბროლ... თელავი; ფინალი — ვაჟები — 20 მარტი-2... რილი, ქუთაისი, ქალები — მახარაძე.

6. სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა პ... ლობა. 22 თებერვალი-7 მარტი, კალინკოვი...

7. უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გ... ბის სამატჩო შეხვედრა. 3-8 მარტი, კიევი.

8. საქართველოს გუნდური პირველობა (მო... ლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრა... I ჯგუფი — 1-9 ივნისი, თბილისი; II ჯგუ... 24-30 მარტი, ბორჯომი.

9. საქართველოს გუნდური პირველობა (რ... ბლიკური სპარტაკიადის პროგრამით). 7-15 ... სი, თბილისი.

10. ლატვიისა და საქართველოს ნაკრები... დების სამატჩო შეხვედრა. 28-29 ივნისი, რ...

11. ესტონეთისა და საქართველოს ნაკრები... დების სამატჩო შეხვედრა. 10-11 ივლისი, ტა...

12. სსრ კავშირის გუნდური პირველობა ... წავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრა... 10-21 ივლისი, ლენინგრადი.

13. სსრ კავშირის გუნდური პირველობა (... შირო სპარტაკიადის პროგრამით). 24 ივლ... აგვისტო, მოსკოვი.

14. სსრ კავშირის ჭაბუკთა (1949-1953 წ... პირადი პირველობა. 5 აგვისტო-5 სექტემ... ვილნიუსი.

15. ოსტატთა რესპუბლიკური ტურნირი. 1... ტომბერი-10 ნოემბერი, თბილისი.

16. სსრ კავშირის პირადი პირველობა: ... — 35-ე ჩემპიონატი — 7-27 დეკემბერი, ხა... ვი; ქალები — 27-ე ჩემპიონატი — 7-27 დ... ბერი, ორიოლი.

შაში

1. სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა პი... პირველობა რუსულ შაშში. 18-29 მარტი, მახ...

2 საქართველოს პირველობა რუსულ შ... 2-20 აპრილი, რუსთავი.

3. საქართველოს პირველობა ასუჯრიან შ... 27 აპრილი-17 მაისი, სოხუმი.

4. საქართველოს ქალთა პირველობა რ... შაშში. 22 მაისი-10 ივნისი, ცხაკაია.

5. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. 30 ... სი-11 ივლისი, გორკი.

6. სსრ კავშირის პირველობა რუსულ შაშში... ლები — ნახევარფინალები — 15-24 აგვ... პიარნუ, დნეპროპეტროვსკი; ფინალი — 17-31... ტომბერი, კისლოვოდსკი; ვაჟები — ნახევარფ... ლები — 5-14 ოქტომბერი, ერევანი, კუიბი... თემურ-ტაი,; ფინალი — 10-23 ნოემბერი, ა... ათა.

7. სსრ კავშირის პირველობა ასუჯრიან შ... ნახევარფინალები — 15-30 სექტემბერი, კოს... მა, ნიჟნი ტაგილი, ნოვოროსიისკი, ფრუნზე; ... ნალი — 25 ნოემბერი-21 დეკემბერი, მინსკი.

ისინდი და ცხენებურთი

1. საქართველოს პირველობა. 4-9 ოქტომ... სოხუმი.

ᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲖᲔᲑᲘ

● *მოსკოვი, 28 დეკემბერი.* საბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების პოპულარული ყურნალის „იუნოსტის" პრიზი — ოლიმპიურ სახეობაში სსრ კავშირის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონს — წლეულს, როგორც შარშან, მოიხვეჭა 17 წლის მოსკოველმა მოსწავლემ თ. სოსნოვამ, რომელმაც ოქროა მედლები მოიგო თავისუფალი სტილით 400 და 800 მეტრზე ცურვაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კონკურსში სოსნოვას ძირითადი მეტოქეები იყვნენ ტანმოვარჯიშეები ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი და მოცურავე ა. დუნაევი. ისინიც 17 წლისა არიან, მაგრამ გამარჯვებულზე რამდენიმე თვით უფროსნი აღმოჩნდნენ.

● **ლენინგრადი, 28 დეკემბერი.** „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა ქალაქების ტრადიციული მატჩი ციგურებით სწრაფრბენაში. ვაჟთა შორის, როგორც ცნობილია, ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. კაპლანმა. ქალებში უძლიერესი აღმოჩნდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 6 უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოს მფლობელი ლ. სკობლიკოვა (ჩელიაბინსკი). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

● **ბონი,** 29 დეკემბერი. გფრ-ში მეორე მატჩი გამართეს მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა და კვლავ გაიმარჯვეს. ამჯერად, მათ გელზენკირხენში დაამარცხეს ცნობილი კლუბი „შალკე-04" — 3:0 (1:0). გოლები გაიტანეს კოროტკოვმა, შელუდკომ და დავიდოვმა.

◆ **ოტავა,** 29 დეკემბერი. ოთხშაბათს საღამოს 3 საერთაშორისო მატჩში განიცადეს მარცხი კანადელმა ჰოკეისტებმა. სენტ-ჯონში სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო პროვინცია ნიუ-ბრანსუიკის ნაკრებს (19:0), ოტავაში სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა დაამარცხა წმინდა ლავრენტის მდინარის აუზის გუნდი (10:3), ხოლო ტორონტოში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა სძლია ონტარიოს პროვინციის ჰოკეის ლიგის იუნიორებს — 4-2.

● **ნიუ-იორკი,** 29 დეკემბერი. გ. პროზუმენშჩიკოვას მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბრასით ცურვაში (1.15,7) გაიმეორა 14 წლის ამერიკელმა მოსწავლემ კ. ბოლმა. შეჯიბრება მიმდინარეობდა ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ-ლოდერდეილში.

● *პარიზი, 29 დეკემბერი. 1966 წლის საფრანგეთის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს მოცურავე ა. მოსკონი, რომელმაც მეხიკოში წინასაოლიმპიადო ასპარეზობაში ოქროს 4 მედალი მოიპოვა. გაზეთ „ეკიპის" გამოკითხვაში 12 ჟურნალისტმა მიაკუთვნა მას პირველობა, მიუხედავად იმისა, რომ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მექსიკაში დამყარებული მსოფლიო რეკორდი არ ჩაითვლება, ვინაიდან აუზი ნორმაზე 7 სანტიმეტრით ნაკლები იყო.*

● **ჰასტინგსი, 29 დეკემბერი.** აქ გაიხსნა 42-ე ტრადიციული საახალწლო საერთაშორისო საჯადოსნო ფესტივალი. მასში ისპარეზებენ 20 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, საბჭოთა მოჯადოქრეები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და ახალგაზრდა ოსტატი ი. ბალაშოვი, რომელმაც მთავარ ტურნირში მონაწილეობის უფლება შარშან მოიპოვა.

● **ნიუ-იორკი,** 29 დეკემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ზედიზედ მერვედ გახდა 24 წლის რ. ფიშერი. მან ეს წოდება გაინაღდა ტურნირის დამთავრებამდე 1 ტურით ადრე, რიცა 10 შესაძლებლიდან 8,5 ქულა დააგროვა. უახლოესი მეტოქე — ევანსი მას 1,5 ქულით ჩამორჩება. ამერიკის ექვსგზის ჩემპიონმა ს. რეშევსკიმ X ტურში წააგო ფიშერთან და 3,5 ქულით ბოლოსწინა, XI ადგილზეა.

● **აბიჯანი** (სპილოს ძვლის ნაპირი). ფეხბურთში აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა ადგილობრივი „სტადე". ორი კვირის წინ მან ბამაკოში (მალი) წააგო იქაურ „რეალთან" (1:3), მაგრამ განმეორებით მატჩში შინ უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:1.

113:101

ასეთია ფინალური მატჩ... ანგარიში

მადრიდი. ლათინური თასის თამაშების გადამწყვეტ მატჩში თმანეთს შეხვდნენ ადგილობ... „რეალისა" და მილანის „სიმე... ლის" კალათბურთელ ვაჟთა გუ... ბი. ორივე მეტოქე საქვეყნო ცნობილი, მადრიდელები ... ფლობდნენ მეტისმეტად საპ... პრიზს, რომელსაც ახლა იტა... ლები ფლობენ — ევროპის ჩ... ნების ჩემპიონთა თასს. და ა... ძვირფას ნადავლს იტალიელ... ლათინური თასიც დაუმატეს... დაამარცხეს მრისხანე მოწინა... დეგი — 113:101.

რედაქტორის მოადგილ...
ზ. ჯაფარი...

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06...